

კაუზატიურ ზმნათა მესამე სერიის ფორმები ახალ ქართულში

შუალობითი კონტაქტის, ანუ კაუზატივის საკითხი პირველი და მეორე სერიის ფორმებთან შედარებით თურმეობითებსა და კავშირებით მესამეში თავისებურია. ერთი შეხედვით, აქ კაუზატივი არც უნდა გვქონდეს, რადგან „მოქმედებითის ფორმები მესამე სერიაში მთლიანად ემთხვევა სტატიკური ვნებითის ფორმებს, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოშობით ისინი ერთია“¹. სტატიკური ზმნა კი არ განასხვავებს შუალობითსა და უშუალო გზას². საერთოდ, გარდაუვალი ზმნებიდან შუალობითის ფორმები მოეპოვება მხოლოდ ორპირიან ე-თი ნაწარმოებ ვნებითებს, ისიც იშვიათად. ეს მოვლენა უმთავრესად ახასიათებს აღმოსავლურ ქართულ კილოებს³.

გარდა ამისა, კაუზატივი ჩვეულებრივ გულისხმობს სამპირიან ფორმას, რომელშიც მოქმედების ხელმძღვანელია სუბიექტი, რეალური შემსრულებელი – ირიბი ობიექტი, ხოლო მოქმედების საგანი – პირდაპირი ობიექტი. გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში, წესისამებრ, სამპირიანი ფორმა არ გვხვდება: ირიბი ობიექტი უბრალო დამატებადაა ქცეული და ამის გამო ზმნაში პირის ნიშნით არაა აღნიშნული. ორპირიანი ზმნა კი არ შეიძლება იყოს შუალობითი გზისა, ანუ კაუზატიური ფორმისა⁴.

მაგრამ ახალი სალიტერატურო ქართულის მასალებით ცხადი ხდება, რომ კაუზატივის ფორმები შეიძლება შეგვხვდეს საანალიზო სერიაშიც, სადაც თანდებულისანი უბრალო დამატება ისევე ჩანს მოქმედების რეალურ შემსრულებლად, როგორც ირიბი დამატება I და II სერიაში: შდრ.: ბეგლარი **ქალიშვილებს** სიმღერას სიმღერაზე **ათქმევინებდა** (დ. კლდ. ⁵ 533). მოსაუბრემ გასწყვიტა სიტყვა რომ უარესები არ **ეთქმევინებინა მანანასათვის** (დ. კლდ. 494). ამას გარდა, კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსები აქაც აშკარად არის წარმოდგენილი.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 446.

² ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I თბ., 1950, გვ. 080

³ ა. შანიძე, დასახ. შრ. გვ. 371.

⁴ ა. ჩიქობავა, დასახ. შრ.. გვ. 079.

⁵ მწერალთა დასახელებაში მიღებული გვაქვს ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში გატარებული შემოკლება.

ამგვარად, მესამე სერიაშიც⁶ შეიძლება განვიხილოთ კაუზატივის წარმოება, რომლის ნიმუშები არცთუ იშვიათია თურმეობით პირველსა და, განსაკუთრებით, თურმეობით მეორეში, მაშინ როცა ძველი ქართულის შესაბამის ფორმებში ეს კატეგორია არ იყო გამოხატული. თანაც დღეს კაუზატივის წარმოების ტიპი მხოლოდ ორგანულია ყველა სერიაში, ძველში კი გვხვდებოდა

#102

ორგანული წარმოების გვერდით აღწერითიც - ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი და „ცემა“ ზმნის პირიანი ფორმა⁷.

ძველ ქართულში კაუზატივის ძირითადი მაწარმოებელი იყო -ევ, იშვიათად გამოიყენებოდა აგრეთვე -ინ, -ევინ კი საერთოდ არ გვხვდებოდა⁸. ახალმა სალიტერატურო ქართულმა გააბატონა -ინ, სამაგიეროდ, შემცირდა -ევ სუფიქსის გავრცელების არე, ხოლო ზმნათა გარკვეული ჯგუფისათვის კაუზატივის მაწარმოებლად მოგვევლინა რთული -ევ + -ინ სუფიქსი.

-ინ სუფიქსი, პირველი თურმეობითი: მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია? (ილია, 401). [საპეგას] ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია (აკაკი, 383). [ინსპექტორს] სკოლისათვის რუსული წერა-კითხვის სწავლება დაუწყებინებია პირველსავე წელში (ი. გოგებ. 208). სულ მარცვალ-მარცვალ დამირჩევინებია ყურძენი (რ. ერისთ. 415). გმადლობ, რომ ამ ბავშვისათვის ახლავე ჩვენი ზნე-წესები შეგითვისებინებია (უიარ. 411). საიქიოს ყოფნის ამბავი არაერთხელ მომიყოლინებია ლევანასათვის (დ. კლდ. 15). მას სიტყვა არ შეუწყვეტინებია ჩემთვის (დ. კლდ. 122). მეფეს ექვსი ოქრო მძარცველისათვის წაურთმევინებია (ივ. ჯავახ. 99). ამ გარემოებას... გაუბედვინებია ექვთიმესათვის ეთარგმნა ეს კრებული (კ. კეკ. 197). ჩემს დღეში არავისათვის მიწყენინებია (ნ. ლორთქ. 422). იგი ისე დაუფლებია მეფის გონებას..., რომ... ტახტისათვის ზრუნვაზედ სანახევროდ ხელი აუღებინებია (გრ. აბაშ. 293). რამ გადარია დღეს ეს ხალხი, წამალი ხომ არავის დაუღვინებია (რ. ჯაფარ. 319). ელეფთერს მწუხარება არც გაზეთის საშუალებით შეუტყობინებიათ

⁶ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გარდამავალი ზმნები. გარდაუვალთაგან მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა კაუზატიური („პაპა ციკანს გამოსდგომია და ის წყელიც დაჰქერინებია“ ა. მელან. 17).

⁷ ი. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრ. კრებ. ტ. X, 1970, გვ. 114-117.

⁸ ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 370; ე. გეურქოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში: მაცნე, 1971, № 2, გვ. 101.

მეგობრებისათვის (რ. ჯაფარ. 371). ეს მისთვის გადაკვრითაც არ **მიგრძნობივია** (რ. გვეტ. 311). მამაკაცს თავის გვერდით უნაზესი ქალი **დაუმარხვინებია** (გ. ქიქ. 381). მას უხაროდა, რომ დედოფალმა ანჩხლობა დაიწყო, მაგრამ არ **შეუნიშვნიებია** (დ. კასრ. 225). ამ ლაწირაკს... გაზონებში ცხვრები შეურეკია და ბალახი ერთიანად **მოუძოვინებია** (ი. მოსაშ. 178).

მეორე თურმეობითი: ალი-ყული-ხანმა ბრძანა, რომ ეს ჯანდიერისათვის **შეეტყობინებიათ** (აკაკი, 458). ფარაონმა ბრძანა, რომ ებრაელებისათვისთ **აეგებინებინათ** დიდი ქალაქები (ი. გოგებ. 111). ქორი ჯერ თავს უტეხავდა [მამალს], რომ ხმა **გეწყვეტინებინა** (თ. რაზიკ. 384). მინდოდა შალვასათვის სიტყვა **შემეწყვეტინებინა** (მ. გარიყ. 225). ამხანაგები ფიქრობდნენ, სოლომონისათვის ის უხეირო აზრი **ამოელებინებინათ** (ს. მგალობ. 257, 282). ქეთეს ზაქროსათვის ჩინჩხვარი **შეეზიდვინებინა** (ს. მგალობ. 466). მინდოდა არჩილისათვის ეს **მეგრძნობინებინა** (შ. არაგვ 6). რომ ცხენის სიძაბუნე არ **შეენიშვნიებინა** ივანესათვის, [პლატონმა] ორიოდე წკეპლი გადაჰკრა (დ. კლდ. 294). ოტიას თავისი შვილი უნდა **მოენათვლინებინა** სამადაძისათვის (დ. კლდ. 528). ჯოდორიამ... ხმალი მოუქნია თავხედ ყმას, რომ თავი **წაგდებინებინა** (ფ. დგებ.-ფულარ. 129). - რა უნდა **ჩაგვეწერინებინა**? (ა. ფურც. 397). ვასილი ცდილობდა ფიქრები არ **შეემჩნევინებინა** დედ-მამისათვის (ა. ფურც. 324). არ მომეწონე... ღვინო რომ არ **მოგეტანინებინა** (ა. ფურც. 447). ყაენს მეხრეები **დაეჭერინებინა** (ვ. ბარნ. 325). ვექილები ათასნაირ ხრიკს იგონებდნენ, ოღონდ მათი პატიმრის საქმე **გადაედებინებინათ** (მ. ჯავახ. 169). არჩილს განზრახვა ჰქონდა ხუმრობით **გაეგებინებინა** მშობლებისათვის გვადის გადმოცემული ამბავი (ლ. ქიაჩ. 59). ხოსროს არც სიმაძრისათვის უნდოდა **ეწყენინებინა** (რ. გვეტ. 190). ბევრი ხვეწნა მჭირდებოდა, რათა ორიოდე სიტყვა **დამეცდენინებინა** მისთვის (კ. ლორთქ. 260). მეშინოდა შვილებო ახლა ბორანზე არ **აელებინებინათ** ხელი (დ. შენგ. 184). რუსუდანმა მამას სთხოვა, მაქსიმე სკოლაში **მიელებინებინა** (ლ. მრელ. 317). მაშ ის საწყალი გოგო **გაეგლეჯინებინა** (ლ. მრელ. 426). თეკლემ აბგა ამოაფარა კაბის ნაკეცს, რომ არ **შეეხედვინებინა** მაზლისანებისათვის (დ. კლდ. 439). ლაშხისათვის... ბიკენტის მამას **ჩამოეხრჩობინებინა** თავი (რ. ჯაფარ. 372). განა ჰქონდა იმის უფლება ლილეს, რომ... უფლისწულისათვის **დაეკარგვინებინა** საქართველოს სამეფო ტახტი?! (გრ. აბაშ. 311). პირი კი **დაეზანინებინა** ბავშვისათვის

#103

გურამს (ლ. ავალ 435). თავგებმა გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ მელიებს... და

თავბედი ეწყევლინებინათ (გ. ნატრ. 245). მოხუცი ელოდებოდა, ვინმე მოსულიყო და წყალი იმას დაეღვინებინა (ს. შანშ. 150). ის წამოდგა, რათა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ ნამუსიც კარგი საქმეა („საქართველოს ქალი“, 1972, № 1, გვ. 5).

-ეგინ სუფიქსი, პირველი თურმეობითი: გეგონებათ... ნაწლავები გადმოუყრევინებია (ვაჟა, 353). თითქოს [ქოხისათვის] ვიღაცას გულ-ღვიძლი ჩაუყრევინებიაო (ნ. ლომ. 156). აბა თუ გადაგიხდევინებია ფიდუასათვის რამე (ს. მგალობ. 383). ბატონიშვილს ისეთი რამ უთქმევინებია ჩემი სახელით (მ. ჯავახ. არს. 93). ყოველი წვეთი ცრემლი, მამასახლისს რომ ჩემთვის უღვრევინებია, სულ სათითაოდ მახსენდება (დ. შენგ. 276).

მეორე თურმეობითი: მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა (ილია, 495). ყმებმა იცოდენ, რა უნდა გადაეხადათ, ბატონებმა – რა უნდა გადაეხდევინებინათ (აკაკი, 355, 362). იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე (ილია, 311). სახლის პატრონი ბევრს ეცადა ეთქმევინებინა ბავშვისათვის, თუ რის ჯავრი აწუხებდა (ი. გოგებ. 70). გაგიმ გვერდით რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა, მაგრამ ისე კი, რომ თავისი ცხენისათვის უწინდელი კვალი არ წაეშლევინებინა (ა. ყაზბ. 23). პატრონს ფანჯრებისათვის დიდი ადგილი არ გამოეჭრევინებინა (უიარ. 62). როსტომმა განიძრახა... გიორგი... მოეკვლევინებინა (ა. ფურც. 291). იმას რო არ შაედგმევინებინა ალალოსათვის მათ ამხანაგობაში ფეხი... ჩემი ბიჭი დღესაც ცოცხალი მეყოლებოდა (მელან. 178). მოკვდა ის... დრო, როცა გასართობად შენ შეგეძლო მოზვრისა და ადამიანისათვის თავები ხმლით დაგეყრევინებინა (რ. გვეტ. 75). ზურაბი შეეცადა სოლომონისათვის საუბრის კილო შეეცვლევინებინა (ა. ბელ. 165). მანანამ ისეთი სიტყვა გადაუგდო, რომ ბიჭისათვის ენა ამოედგმევინებინა (გ. ნატრ. 47).

-ეგ სუფიქსი, პირველი თურმეობითი: თუ თქვენ პატივი მეცით, არც მე მიჭმევია, ბიჭებო, თქვენდა სირცხვილი (ჭ. ლომთ. 349). ქალს... ბოთვერასათვის სალაფავი არ უჭმევია (ლ. მრვლ. 39). დედაკაცს ბიჭისათვის წამალი უსმევია (დ. მაჩხ. 76). არც ზედაპირისათვის ჩაუცმევიათ ჯერ გუდრონის პერანგი (ბ. ჩხ. 75).

მეორე თურმეობითი: პური მაინც ეჭმევინათ, რომ დავწოლილიყავ (რ. ერისთ. 502). ვერც იმას მოვითმენდი, რომ ჩემთვის ტალამაშები ეჭმევინათ (მელან. 357). ნინო ცდილობდა, თამარისათვის პირი გაეღებინებინა, რომ წვეთები შეესმევინებინა (ი. ლისაშ. 274). ბეგლარს კიდევაც წაეძრო ხელიდან ბეჭედი, ძალათი ნინოსათვის წაოცმევინა თითზე (დ. კლდ. 535).

-ეგ სუფიქსიანი კაუზატიური ფორმები დღეს თითქმის აღარ იხმარება. ზემო-დასახელებული რამდენიმე მაგალითიდანაც ზოგიერთი – ეჭმევინა, წამოეცმევინა – დიალექტურ წარმოებად იქცა. მათ ნაცვლად სალიტერატურო ქართულში

დამკვიდრებულია **ეჰმია, ჩაეცმია**⁹:

თქვენებს ასე ეგონებათ, ვერაფერი ვერ უშოვეს რომ **ეჰმიათო** (დ. კლდ. 525). შე ქალო... დღეს **ჩაეცმია** მაინც ბავშვებისათვის (დ. კლდ. 439).

მაშასადამე, თურმეობითის ფორმებშიც **-ინ, -ეცინ, -ევ** სუფიქსები ისეთივე შეფარდებით გვხვდება, როგორითაც პირველ და მეორე სერიაში, კერძოდ, ზმნათა დიდი უმრავლესობა კაუზატივს **-ინ** სუფიქსით აწარმოებს, შედარებით ნაკლებად გამოიყენება **-ეცინ, -ევ** კი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევით განისაზღვრება.

კაუზატივის მაწარმოებელ აფიქსებით დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ძველ ქართულში ნიშანდობლივია კაუზატივის წარმოების ორი ტიპი: ოდენპრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური, სადაც პრეფიქსი ა უცვლელია, სუფიქსებად კი განსხვავებული ოდენობებია გამოყენებული.

#104

პრეფიქსული წარმოება ძველი ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილებაა ¹⁰. ამ მიმართებით ჭანურ-მეგრულისა და ქართულის ერთმანეთთან შედარებაც გვიჩვენებს, რომ მათთვის საერთოა ა პრეფიქსი, განსხვავება მხოლოდ კაუზატივის აორისტის მაწარმოებელ სუფიქსებშია¹¹.

ჩვეულებრივ, უშუალო კონტაქტის შემთხვევაში **-ებ, -ობ** სუფიქსებით წარმოდგენილი მეორე თურმეობითი კაუზატივის გაგებას რომ შეიძენს, მაშინ იგი კვლავ რთულდება **-ებინ** სუფიქსით:

კალისტრატე დაწინაურებულ ხარს შუბლზე აწევბოდა, რათა როგორმე ფეხი **მოენაცვლებინებინა** (რ. ჯაფარ. 124). ალბათ იმიტომ დაგვიბარა მაიამ, რომ ეს **გაეგებინებინა** ჩვენთვის (ფ. დგებ.-ფულ. 158). გიორგი აპირებდა ამ ხანჯლით მოკვლას, თუ ხელდახელ არ **გაეგდებინებინათ** როსტომი იმისათვის ხელიდან (ა. ფურც. 272). ნინო ცდილობდა თამარისათვის პირი (ი. ლისაშ. 274). დემეტრემ გულისწუხილი ჩააქრო, რომ საცოდავი ცოლისათვის არ **ეგრძნობინებინა** (ს. მგალობ. 487). პლატონს უნდოდა ეხლავე **შეეტყობინებინა** არისტოსათვის თავისი გადაწყვეტილება (დ. კლდ. 405).

⁹ ანალოგიური წარმოებისაა დაერქმია, წაერთმია, ამ უკანასკნელთა აწმყოშიც იჩენს თავს კაუზატივის -ევ სუფიქსი (არქმევს, ართმევს), თუმცა შუალობითი კონტაქტის გაგება დაკარგული აქვთ (ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 370).

¹⁰ ე. გეურქოვა, დასახ. შრ. გვ. 105.

¹¹ ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 159

ეს მაგალითები მოგვაგონებენ ე.წ. „მრჩობლ-სხმით-გარდასლვით“ ფორმებს, რომლებზედაც მიუთითებდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსები. მათი აზრით, ზმნის სახე მრჩობლ-სხმით-გარდასლვითია მაშინ, როცა სხმით-გარდასლვით ზმნას (ვაწერინებ) დაესხმის კუალად მეორედ მარცვული ესე -ინებ და დაჰნიშნავს სხვასა მოქმედებასა ანუ ჰვნებასა (ვაწერინებინებ)¹². მსგავსი ფორმები დასახელებულია ბ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკაში“ (თუმცა აქვეა შენიშნული, რომ პრაქტიკულად იგი ნაკლებ-ხმარებულია)¹³. დიალექტებიდან კაუზატივის ორმაგი წარმოება გამოვლენილია ქვემოიმერულში და მას თვლიან ცალმაგი წარმოებიდან მომდინარედ ¹⁴, ხოლო ქართულში საერთოდ საანალიზო ფორმები ხელოვნურ წარმოებადაა მიჩნეული¹⁵.

კაუზატივის შემთხვევაში ზმნით გამოხატული მოქმედება ჩვეულებრივ სრულდება ხელმძღვანელი პირის ბრძანებით, იძულებით (მამაჩემის ნასახლარი ბატონს დაუბარვინებია: გრ. აბაშ. 116; ბევრს ვეცადენით, დაგვეგდები-ნებინა ქორისათვის დედაჩემი: ვაჟა, 363), ანდა სუბიექტის დახმარებითა და რჩევით (სონიამ გადაწყვიტა ქმრისთვის გაეხედვინებინა სოფლის მიტოვება: დ. კლდ, 546).

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან კაუზატივი ასეთი შინაარსის მატარებელია ადიღურშიც, სადაც ხშირად გვხვდება ორმაგი ფორმის კაუზატიური ზმნები¹⁶.

ჩვენს საანალიზო კონსტრუქციაში (მოენაცვლებინებინა მას მისთვის ის) რეალური შემსრულებელიცა და კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსიც ერთია (შდრ. უშუალო კონტაქტის ფორმა - მოენაცვლებინა მას ის). წარმოების ასეთი გართულების მიზეზი კი, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ, წესისამებრ, კაუზატიური ფორმა აწმყო-მყოფადში -ებ სუფიქსს დაირთავს და ამ ფუძეს

#105

ეყრდნობა სხვა -ებ თემატურნიშნიან ზმნათა მსგავსად თურმეობითებში (წერს - აწერინებს - დაუწერინებია - დაეწერინებინა). მაგრამ ასეთ კონსტრუქციაში -ებ

¹² ანტონ I, ქართული დრამმატიკა, 1885, გვ. 37-39; გაიოზე ქტორი, ქართული დრამმატიკა, 1970, გვ. 69.

¹³ Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, Л., 1940, გვ. 204.

¹⁴ ვ. კახაძე, შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1971, №2, გვ. 52.

¹⁵ ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 379.

¹⁶ Г. В. Рогава, З.И. Керашева, Грамматика адигейского языка, 1966, გვ. 257-259.

სუფიქსიანი უშუალო კონტაქტის ფორმა ორმაგ -ებინ დაბოლოებას უჩვენებს (აკეთებს - აკეთებინებს - გაუკეთებინებია - გაეკეთებინებინა), სადაც კაუზატივის -ინ და თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოების -ინ სხვადასხვა დროინდელი ოდენობები უნდა იყოს (შდრ. გააკეთ-ებ-ინ-ა მან მას ის და გაე-კეთ-ებინა მას ის).

სალიტერატურო ქართულში ზემოგანხილული წარმოების საპირისპირო ვითარებაც იჩენს თავს, კერძოდ, იშვიათად მაინც შეინიშნება კაუზატივის შემთხვევაშიც გარდამავალ ზმნათა თურმეობითი მეორის არქაული წარმოება (ებ სუფიქსის გარეშე):

მმართველობამ გადაწყვიტა, რომ რომელიმე განვითარებულ პირისათვის **გადაეთარგმნინა**.... სახელმძღვანელონი (ი. გოგებ. 196). ოსმა გადაწყვიტა, რომ მთავრობისათვის **შაეტყობინა** ძაუგში აბრაგების ყოფნა, ან **დაექერიანა** და ან **დაეხოცინა** (ა. ყაზბ. 365-366). მკითხავს უნდოდა ამით **გამოეთქმევიანა** [გმირისეულისათვის] რამე (ს. მგალობ. 455). ეს წარმოსდგებოდა მხოლოდ ჩემი ამპარტავანის გულისაგან, რომ არ **შემემჩნევიანა** ამისათვის მიზეზი ჩემი აქ ხშირად ყოფნისა (ა. ფურც. 311). კალიას უნდოდა ეკბინა მიხოსთვის, რომ როგორმე ხელი **გაეშვებინა** (თ. რაზიკ. 270). პლატონი... გვერდევანიძისას გაიქცა, რომ საქმე **მოესპობინა** (დ. კლდ. 423). მწვავე სიტყვებს განგებ ვეძებდი, რომ მისთვის] ... ჩემ ქალაქს გაგზავნაზე ხელი როგორმე **ამელეზინა** (დ. შენგ. 60) ახლა თვით ტელმარში ცდილობდა ხმა **ამოელეზინა**¹⁷ უბედურისათვის (ი. მაჭავარ. თარგმ. 218).

კაუზატივის -ინ, -ევინ სუფიქსები ზოგიერთ კილოში იხმარება გამარტივებული სახით: წარმოდგენილი არაა ნ, ზოგჯერ - ვ¹⁸. ასეთი ფორმები შემოტანილია მწერლობაშიც, თუმცა დიალექტურია და უმარტებულო¹⁹. შესაბამისად შეგვიძლია ახალი სალიტერატურო ქართულიდან დავიმოწმოთ მაგალითები, სადაც დაკარგულია ა) კაუზატივის -ინ მაწარმოებელი: ღმერთს ამ სიტყვებით უნდოდა **ეგრძნობებინა** ადამისათვის (შ. არაგ. 195); ბ) არ ჩანს კაუზატივის -ინ სუფიქსი და თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოების -ნ: სამჯერ რომ **შემელოცვებია**, მომირჩებოდა (ე. ნინოშ. 484); გ) გამქრალია კაუზატივისეული სუფიქსის ნ თანხმოვანი: ხომ არავის **უწყენიებია** შენთვის (დ. კლდ. 268). დ) არაა წარმოდგენილი

¹⁷ სპეციალურ ლიტერატურაში კაუზატივის ამ უკანასკნელ ფორმებს აკუთვნებენ უპირატესობას შედარებით **ამოელეზინებინა** წარმოებასთან, რომელიც „არაა ადვილად გასაგები და გამოსატქმელი“ და დასმულია საკითხი - გადაისინჯოს კაუზატიურ ფორმათა მეორე თურმეობითის წარმოების წესი: იხ. ივ. იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, 1968, გვ. 119

¹⁸ ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 370; შ. ძიმიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 157, 207; ვ. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 52.

¹⁹ ვ. თოფური, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 147; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 219; გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1961, გვ. 84.

კაუზატივისეულ **ნ** თანხმოვანთან ერთად თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოება, თანაც ამ შემთხვევაში თურმეობითის ფუძე არქაული წარმოებისაა: სახლის პატრონი მილაქუცებდა, რა არის... ლუკმა არ **დამეკარგვია** (ვაჟა, 345).

ფონეტიკურ ცვლილებებს უჩვენებს აგრეთვე -**ევინ** სუფიქსიანი კაუზატივის ფორმები. აქაც იკარგება -**ევინ** მაწარმოებლის ვ თანხმოვანი:

იმპერატორს **დაუკვრეინებია** მის კუბოს ფიცარზე მედალი (გრ. ორბ. 234). საცა სამართალია, შენთვინ ათიოდე კვალი უნდა **მომეხვნეინებინა** (მ. ჯავახ. არს. 269).

#106

მსგავს კონსტრუქციაში თურმეობითი მეორის ფორმა ემყარება ნამყო წყვეტილის ფუძეს, მოსალოდნელი აწმყოს თემის ნაცვლად: მამამთილს ძალიან სურდა როგორმე **მოეშლინა** იმათთვის დილის ძილი (თ. რაზიკ. 328).

ზოგჯერ კაუზატივის მაწარმოებლები სრული სახითაა წარმოდგენილი, სამაგიეროდ, დაკარგულია ფუძისეული ან თემატური აფიქსის თანხმოვნები:

არ ვიცი რა **მიწყეინებია** შენთვის (ე. ნინოშ. 242). ვისაც ვისთვის **უწყეინებია** რამ, ამ დროს გაახსენდება (უიარ. 78). მინდოდა მწყემსისათვის ღვინო **გად-მომეტაინებინა**²⁰ (თ. რაზიკ. 125). შავდათუას რიყის გრილი ქვიშა **მოუზიდინებია** (გ. შატბ. 158). თავმჯდომარეს შეკვეთით მაინც არ **შეეკერინებინა**²¹ ეს ჩექმები (ლ. მრელ. 226).

ჩანს, კაუზატივის წარმოების ეს გვიანდელი წარმონაქმნი დიალექტური ერთეულები კვლავ მძლავრობენ ენაში და გამოდიან ლიტერატურული ფორმის მეტოქედ.

ამრიგად, კაუზატივი XIX-XX სს. სალიტერატურო ქართულის მიხედვით დამახასიათებელია მესამე სერიისთვისაც. გარდა ამისა, XV-XVIII სს. მხატვრული და ისტორიული ძეგლები იშვიათად მაინც გვიჩვენებენ ამ ფაქტის არსებობას (აქაც კაუზატიური ფორმები ისეთსავე თავისებურებებს ამჟღავნებენ, როგორიც თანამედროვე მწერლობის ენას ახასიათებს).

პირველი თურმეობითი: ახლათ ჩვენ სამაგიეროთ... მიტროპოლიტი **გვიკურთხებიანებია** (საეკლ. საბუთ. I, 113(1714)). დალაქს ფერხი სალაროსა ზედა სდგმია და იმას **უთქმევინებიაო** (საბა, 63).

²⁰ შდრ: წყენა-ა-წყენინებს; გადმოტანა-გადმო-ა-ტანინებს.

²¹ -ავ და -ევ სუფიქსიანი ზმნების კაუზატივის ფორმებში დაცულ უნდა იქნეს ვ: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, ივ. 16.

მეორე თურმეობითი: თუ ინდოეთში წარსულის კაცისათვის მამული გაგვესყიდინა (სდოკუმენტ. I, 101 (1697)). ჩვენი ჭირისუფლობა იმისათვის უნდა გადაგვხდევინებინა (საქ. სიძვ. II, 222 (1707)). მეფეს იმათთვის ის ბოსლევის ადგილი დაეტოვებინებია (საეკლ. საბუთ II, 94 (1789)). მეცხვარეს ბავშვები მხეცთათვის დაეყრევინა და გაეზარდა (რუსუდ (421)).

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საერთოდ ქართულში კაუზატივის კატეგორია დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმებში შედარებით ახალი გაჩენილი უნდა იყოს. მართალია, დღეს ამ სერიაშიც მისი არსებობა ხელშესახები ფაქტია, მაწარმოებელი აფიქსებიც ჩვეულებრივი წესითა და თანაფარდობით მოიხმარება, მაგრამ მაინც არაა ფართოდ გავრცელებული და არც უჩანს განვითარების ტენდენცია, რადგანაც თანამედროვე მეტყველებაში მესამე სერიის კაუზატიურ ფორმებს ადვილად ენაცვლება აღწერითი გამოთქმები (I ან II სერიით გადმოცემული), მაგალითად:

ინსპექტორმა თურმე სკოლას რუსული წერა-კითხვის სწავლება დააწყებინა პირველსავე წელში (ინსპექტორს სკოლისათვის რუსული წერა-კითხვის სწავლება დაუწყებინებია პირველსავე წელში: ი. გოგებ. 208). თურმე პატრონმა ფანჯრებისათვის დიდი ადგილი არ გამოაჭრევინა (= პატრონს ფანჯრებისათვის დიდი ადგილი არ გამოეჭრევინებინა: უიარ. 62).

აღნიშნულ გარემოებას ხელს უნდა უწყობდეს ისიც, რომ თურმეობითებში კაუზატივის მნელ და რთულ წარმოებას (მიუღებინებია, გაეკეთებინებინა...) გარკვეულად ერიდება ენა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ)